



17 18/4-2/22 2 23022022



1718/4-2/22
23-02-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის
კომიტეტს განცხადებით მომართა საქართველოს საქველმოქმედო ფონდმა „9 აპრილი“,
1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა და
დაღუპულთა სოციალური მდგომარეობისა და მათთვის სოციალური დახმარების
პროგრამების გაუმჯობესების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის
პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი პირია რეგისტრირებული, როგორც 1989 წლის 9 აპრილს გამართული
აქციის დარბევის შედეგად:
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;
 - დაღუპულთა შრომისუნარო მშობელი, შრომის უუნარო მეუღლე, რომელიც
შემდეგ აღარ დაქორწინებულა;
 - დაზარალებული.
2. აღნიშნული პირები, თითოეული კატეგორიის მიხედვით, რა სახის სახელმწიფო
შემწეობით სარგებლობენ და რის საფუძველზე?
3. არიან თუ არა მათ შორის ისეთი პირები, რომლებიც საერთოდ არ იღებენ
სახელმწიფოსგან რაიმე სახის შემწეობას და რის საფუძველზე?
4. ზემოაღნიშნულ შშმ სტატუსის მქონე პირთაგან, რამდენი მათგანი სარგებლობს
პარალელურად სხვა სახის სოციალური პაკეტით და რის საფუძველზე?
5. აღნიშნულ შშმ სტატუსის მქონე პირებს, რომლებსაც მიღწეული აქვთ საპენსიო
ასაკს, პენსიის დანიშვნისას, უუქმდებათ თუ არა სოციალური პაკეტით ან/და 9

აპრილს გამართული აქციის დარბევის გამო პირთათვის განსაზღვრული შემწეობა
და რის საფუძველზე?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

ძ. სარჯველაძე



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia**



KA030169352702122

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/6815

07 / მარტი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტს წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხილულ იქნა თქვენი 2022 წლის 23 თებერვლის №1718/4-2/22 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულთა სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფის საკითხებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კანონით განსაზღვრული პირთა წრისთვის სოციალური დაცვის გარანტიები ითვალისწინებს: სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფას „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით; საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების შეღავათებით სარგებლობას და სხვა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყო საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების შეღავათების მონეტიზაცია. კერძოდ, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის № 4 დადგენილებით შემოღებულ იქნა ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი საყოფაცხოვრებო სუბსიდია, რომელიც განკუთვნილია კანონით განსაზღვრული სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად. სხვა კატეგორიებთან ერთად საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და დარბევის დროს დაზარალებულ პირებს.

აქედან გამომდინარე, „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის პირები იღებენ ასაკით პენსიას და საყოფაცხოვრებო სუბსიდიას, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები - სოციალურ პაკეტს, „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის № 279 დადგენილებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. გარდა ამისა, ამავე დადგენილების თანახმად, იმ პირებს, რომლებიც არ განეკუთვნებიან დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პირთა წრეს, სხვადასხვა ტიპის ფულადი გასაცემლის მიღება გაუგრძელდათ შეჭამებულად, იმავე ოდენობით, რაც დანიშნული ჰქონდათ 2012 წლის 1 სექტემბრამდე და ისევე, როგორც სხვა სოციალურ კატეგორიებს, შეუნარჩუნდათ მოპოვებული უფლებები, ამავე წესით გათვალისწინებული შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობამდე. სოციალური პაკეტის ოდენობა ზემოაღნიშნულ პირთათვის მერყეობს 114 ლარიდან 144 ლარამდე.

რაც შეეხება სახელმწიფო გასაცემლებლების ერთდროულად მიღების საკითხს, აღვნიშნავთ, რომ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის (მუხ. 6. „შეზღუდვები სოციალური პაკეტის მიღების

თაობაზე“) თანახმად დაუშვებელია ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება; სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციის მიღება, გარდა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია; სოციალურ პაკეტთან ერთად „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის № 4 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღება.


შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო პენსიის პარალელურად (გარდა გამონაკლისებისა) სოციალური პაკეტის მიღების უფლება გათვალისწინებული არ არის.

აქვე დანართის სახით, წარმოგიდგენთ, სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირების ორგანოდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მონოდებულ სტატისტიკურ ინფორმაციას - ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირთა შესახებ (სახელმწიფო გასაცემლების ერთიანი სააღრიცხვო ბაზის 2022 წლის 1 მარტის მონაცემებით).

დანართი: 1 ფაილი.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

თამილა ბარკალაია

ინფორმაცია, ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით
დაზარალებულ პირთა შესახებ (2022 წლის 1 მარტი)

<p>გასაცემლის სახე</p>	<p>ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირთა სტატუსი</p>
<p>სახელმწიფო პენსიის მიმღებები</p>	<p>ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირები</p> <p>ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები</p> <p>ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დადუპულთა შრომისუნარო მშობლები, შრომისუნარო მეუღლე, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვანი შვილი ან/და ნაშვილები</p>
<p>მოპოვებული უფლებით სოციალური პაკეტის მიმღები:</p>	<p>ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირები</p> <p>ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები</p> <p>ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დადუპულთა შრომისუნარო მშობლები, შრომისუნარო მეუღლე, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვანი შვილი ან/და ნაშვილები</p>

ცნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად
 (ს მდგომარეობით)

საყოფაცხ. სუბსიდ./გასაცემ ლის ოდენობა	მიმღებთა რაოდენობა	ნორმატიული აქტი
22	111	„სოციალური შედეგათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდის ოდენობის, მისი დანიშვნა-გაცემის წესის და პრინციპები“
44	67	
44	5	
22	185	„სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობები“.
44	17	
44	0	